ხელშეკრულება №205162802 /68

კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამარტივებული საშუალებით სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში

ქ. თბილისი

28 აპრილი 2016 წელი

ერთი მხრივ, შპს „ჯორჯიან ექსპრესი", ს/კ: 201954965, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 105, 0119, როგორც DHL EXPRESS-ისა და DHL GLOBAL FORWARDING/FREIGHT-ის ექსკლუზიური აგენტი საქართველოს ტერიტორიაზე, წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის, პაატა სარიშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი" და მეორე მხრივ სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, ს/კ: 205162802, იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, გოძიაშვილის ქ.#49 , წარმოდგენილი მისი დირექტორი ირაკლი გულედანი სახით, შემდგომში „შემსყიდველი", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გამარტივებული საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სსამინისტროს ლაბორატორიის მიერ დოკუმენტების ექსპრეს გადაზიდვების მომსახურების (CPV64100000; 64110000) შესყიდვა ხელშეკრულების №1, №2, №3 დანართების შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2 DHL შემსყიდველის საჭიროებისა და მოთხოვნის შესაბამისად მომსახურებას განახორციელებს ამ ხელშეკრულების დანართი №1-ში მითითებული მომსახურების წესებისა და პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. მომსახურების გაწევის ვადა, ღირებულება და გადახდის პირობები

2.1. ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

2.2 კონკრეტული მომსახურებების საფასურის ოდენობა განისაზღვრება DHL-ის მიერ, შემსყიდველისათვის გასაწევი კონკრეტული მომსახურების გამოცხადებული ტარიფების[1] (დანართი №2) შესაბამისად DHL-ის მიერ წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე.

2.3. ანაზღაურება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით. მომსახურების გაწევის შესახებ სათანადო მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10(ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

2.4. DHL-ს აქვს ტვირთზე/საფოსტო გზავნილზე მფლობელობითი გირავნობის უფლება დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების დროულად, სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

2.5 დოკუმენტის ექსპრეს გადაზიდვის მომსახურების განხორციელების ვადაა ექსპრეს გზავნილისთვის განკუთვნილი დოკუმენტის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მომსახურების გაწევა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ,,შემსყდველის" მხრიდან ხელს მოაწერს მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის დეპარტამენტის უფროსი ეთერ გვრიტიშვილი, ხოლო ,,მიმწოდებლის" მხრიდან - საამისოდ უფლებამოსილი პირი.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ,,მიმწოდებლის" მიერ გზავნილის (დკომუნეტის) დანიშნულების ადგილზე ჩაბარების დამატასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

მუხლი 4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1 ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით, მომსახურების გაწევის შესახებ სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10(ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

---

[1] გამოცხადებული ტარიფების ცვლილების შემთხვევაში DHL-ი ვალდებულია აცნობოს დამკვეთს არანაკლებ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე. თუ ეს პირობა არ იქნა დაცული, ანგარიშსწორება მოხდება ცვლილების შესვლამდე გამოცხადებული ტარიფების მიხედვით.

4.2 ანგარიშსწორება ,,შემსყიდველის" მიერ ხორციელდება საგადასახადო ანგარიშფაქტურისა (თუ „მიმწოდებელი" არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 5. მხარეთა ვალდებულება და პასუხისმგებლობა

5.1. ამ ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და დათქმულ ვადაში შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები. რომელიმე მხარის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ ხელშეკრულების 9.2. პუნქტით შეთანხმებული საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო აქტებით.
5.2. ყველა კომერციული, ტექნიკური და სხვა სახის ინფორმაცია ან მონაცემები, რომლებსაც მხარეები მიიღებენ ერთმანეთისგან, მკაცრად კონფიდენციალურია. ორივე მხარე ვალდებულია, მოეკიდოს ასეთ ინფორმაციას, როგორც საკუთარს და არ დაუშვას ამ ვალდებულების დარღვევა.

მუხლი 6. პრეტენზიებისა და მიმართვის წარდგენის ვადები

6.1. ტვირთის/გზავნილის მიღებისას მისი გარეგნულად შესამჩნევი დაზიანებისა ან/და დანაკლისის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია იმავე დღეს აცნობოს მიმწოდებელს აღნიშნულის თაობაზე, მოითხოვოს DHL-ის წარმომადგენლის დასწრება დათვალიერებისას, უზრუნველყოს შესაბამისი აქტის შედგენა მხარეთა წარმომადგენლებისა და დამოუკიდებელი, კომპეტენტური ექსპერტის მონაწილეობით.
6.2. ტვირთის/გზავნილის მიღებისას გარეგნულად შეუმჩნეველი დაზიანებისას, შემსყიდველი ვალდებულია მიმართოს DHL-ს შესაბამისი წერილობითი პრეტენზიით ტვირთის/გზავნილის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღისა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ შემსყიდველის პრეტენზია DHL-ის მიმართ არ დაიშვება.

მუხლი 7. შეტყობინებების გაგზავნის წესი

7.1. ამ ხელშეკრულებით წარმოშობილ ურთიერთობასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება მხარეებს მიეწოდებათ წერილობით, ფაქსით ან კურიერის მეშვეობით, შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე: ქ.თბილისი, ვ.გოძიაშვილის ქ.№49, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეთა შეთანხმებით, წერილობითი ურთიერთობისათვის პირდაპირ არის გათვალისწინებული ელექტრონული ფოსტის გამოყენება.

მუხლი 8. ფორს-მაჟორული გარემოებები

8.1. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და შესრულების გაჭიანურება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად (ფორსმაჟორი - სტიქიური უბედურება, ომი, სამხედრო მანევრები, დივერსია, ხანძარი, გაფიცვები, ბლოკადა, ემბარგო, საქართველოს ან მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე, ისევე, როგორც ტვირთის მოძრაობის მარშრუტზე, სატრანზიტო ქვეყნების ტერიტორიაზე, ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ გამოცემული აქტები, რამაც შეიძლება შეაფერხოს ან/და შეუძლებელი გახადოს მხარეთათვის ამ ხელშეკრულებით მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და დადგენილი პირობების შესრულება და სხვა), მხარეები გააგრძელებენ ხელშეკრულების პირობების ჯეროვნად შესრულებას ამგვარი გარემოებების დასრულებისთანავე, ხოლო ფორსმაჟორით გამოწვეული ვალდებულებების შეუსრულებლობა არ ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად.
8.2. თუ ამგვარი გარემოებები გრძელდება და შეუძლებელს ხდის მხარეთათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, მხარეები უფლებამოსილი არიან შესაბამისი წერილობითი შეთანხმებით მიაღწიონ მათთვის მისაღებ ნებისმიერ გადაწყვეტილებას.
8.3. იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი გახდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ფორსმაჟორული გარემოებების გამო, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს, პირველივე შესაძლებლობისთანავე.

მუხლი 9. დავათა გადაჭრის წესი

9.1. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა ან/და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.

9.2. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები მოწესრიგდება მომსახურების მარეგულირებელი საერთაშორისო კონვენციებით/შეთანხმებებით, მათი დამატებითი ოქმებითა და დანართებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, ცვლილებები და დანატებები ხელშეკრულებაში, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის წესი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედია 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
10.2. ხელშეკრულების ვადამდელი მოშლა დაიშვება წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის შემდეგ. ხელშეკრულების შეწყვეტამდე მხარეები ვალდებული არიან დაასრულონ მიმდინარე ვალდებულებები. კერძოდ, DHL-მა უნდა დაასრულოს დაწყებული მომსახურება, თუ მისი შეწყვეტა ფაქტობრივად შეუძლებელი, ან კიდევ, ხარჯების გაწევასთან იქნება დაკავშირებული, ხოლო შემსყიდველმა უნდა აანაზღაუროს განხორციელებული მომსახურების საფასური და ხარჯებიც, ასეთის არსებობისას.
10.3. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ამ ხელშეკრულებაში ძალაში შედის მხოლოდ წერილობითი ფორმით და იურიდიულ ძალას იძენს მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან. ცვლილებები და დამატებები განიხილება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1 სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებაზე კონტროლს განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტში მითითებული პირი.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

12.1. მხარეები აღიარებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობები მათი ნების გამოვლენის შედეგია, ეთანხმებიან მათ და ადასტურებენ თავიანთი ხელმოწერით.
12.2. ეს ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ერთმანეთის მიმართ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები:

შპს „ჯორჯიან ექსპრესი"
მის: წერეთლის 105, 0119 თბილისი, საქართველო
ს/კ: 201954965
ტ: 2696060
ელ. ფოსტა: INFO@DHL.GE
ს/ს „საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის №: GE70BG0000000391050200

აღმასრულებელი დირექტორი
პაატა სარიშვილი

(ხელმოწერა/ბეჭედი)

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია
მის: ქ.თბილისი, გოძიაშვილის ქ.#49
ს/კ: 205162802
ტ: 2530968
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგარიში/სახაზინო კოდი: 707527102

დირექტორი
ირაკლი გულედანი

(ხელმოწერა/ბეჭედი)

დანართი №1

კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურების პირობები და წესები

1. DHL მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული შესაბამისი საზღაურის მიღების პირობით და შემსყიდველის უშუალო დავალებით ახორციელებს საერთაშორისო კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურეობას.

2. შემსყიდველი უზრუნველყოფს DHL-ისთვის მომსახურების საფასურის ანაზღაურებას მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამასთან, გამოცხადებული ტარიფების ცვლილების შემთხვევაში, DHL ვალდებულია აცნობოს დამკვეთს წინასწარ, არანაკლებ 10 (ათი) სამუშაო დღისა. თუ ეს პირობა არ იქნა დაცული, ანგარიშსწორება მოხდება ცვლილების შესვლამდე გამოცხადებული ტარიფების მიხედვით.

3. სატრანზიტო დრო წარმოადგენს პრაქტიკიდან გამომდინარე საშუალო სატრანზიტო დროს ქვეყნების/ზონების მიხედვით და არცერთ შემთხვევაში, დამატებითი შეთანხმების არსებობის გარდა, არ წარმოადგენს გადაზიდვისათვის დათქმულ სატრანზიტო ვადას, მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე. სატრანზიტო დროის დაუცველობის შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს დამატებითი შეთანხმება სატრანზიტო დროსთან დაკავშირებით, DHL-ს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა რაიმე პირდაპირ ან/და ირიბ ზარალზე/ზიანზე.

4. საერთაშორისო კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სამუშაო დღეების სამუშაო დროის განმავლობაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს დამატებით სხვა შეთანხმება კონკრეტული გადაზიდვისა, საჭიროებიდან გამომდინარე.

5. კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურეობა, მათ შორის, გადასაზიდი ტვირთის სპეციფიკაციის გათვალისწინებით, რეგულირდება ვარშავის, მონრეალის და DGR-ის კონვენციების, IATA-ს და ICAO-ს უნიფიცირებული წესების მიხედვით.

6. საერთაშორისო კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურებისას, გამოიყენება მოცულობითი წონის ფორმულა: 1 კუბური მეტრი=200კგ, რაც გამოითვლება შემდეგი წესით: სიგრძე*სიგანე*სიმაღლე (სმ.)/5000. ამასთან, გადასაზიდი გზავნილის წონად ანგარიშსწორებისას ჩაითვლება ფაქტობრივი და მოცულობითი წონის უმეტესი მაჩვენებელი.

7. საერთაშორისო კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურეობის ორგანიზების პროცესში DHL უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, გამოიყენოს როგორც საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები, ასევე, მთლიანად ან ნაწილობრივ/ცალკეულ მონაკვეთებზე, ტვირთის გადაზიდვა დაავალოს მესამე პირებსაც, თუ ეს აუცილებელია კონკრეტული გადაზიდვის საჭიროებიდან გამომდინარე. ამასთან, შემსყიდველის ინტერესების გათვალისწინებითა და მომსახურების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, DHL უფლებამოსილია, როგორც თავისი სახელით, ასევე, შემსყიდველის სახელითა და ხარჯით, ხელშეკრულებები გააფორმოს ცალკეულ გადამზიდველებთან, სხვადასხვა ქვეყნებში საავიაციო სატვირთო ტერმინალებთან, ავიაკომპანიებთან ან/და მათ აგენტებთან, საექსპედიტორო კომპანიებთან და სხვა მესამე პირებთან. ასეთ შემთხვევაში, DHL მესამე პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას, მოქმედებს შემსყიდველის ინტერესების შესაბამისად, როგორც მისი წარმომადგენელი/უფლებამოსილი პირი, ამასთან ასეთი მომსახურების დროს, მიმღები პირის გვარი და ჩაბარების თარიღი შესაძლებელია ვერ იქნეს მიწოდებული შემსყიდველისთვის.

8. რიგ შემთხვევებში, DHL, შემსყიდველი მოთხოვნით, ანიჭებს მას ანგარიშის ნომერს. ამასთან, ანგარიშზე შეიძლება გავრცელდეს შემცირებული ტარიფები, რომელიც ვრცელდება მხოლოდ კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურებაზე, როგორც საექსპორტო, ასევე საიმპორტო (იმპორტექსპრესი) გადაზიდვისას. ასეთი ანგარიშის ნომრის მესამე პირისთვის გადაცემა სარგებლობისათვის დაუშვებელია DHL-თან შეთანხმების გარეშე.

9 აუცილებლობის შემთხვევაში, DHL უფლებამოსილია განახორციელოს გზავნილის ინსპექტირება შემსყიდველისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

10. დაუშვებელია გზავნილის გაგზავნა სააბონენტო ყუთის მითითებით მისამართზე.

11. გზავნილის ჩაბარება დანიშნულების ადგილზე უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე, ამასთან, DHL-ს არ აქვს ვალდებულება, რომ გზავნილი უშუალოდ საკონტაქტო პირს ჩააბაროს.

12. გადაზიდვის ორგანიზების უშუალო დაწყებამდე შემსყიდველი ვალდებულია DHL-ს სრულად და ამომწურავად მიაწოდოს გზავნილის თანმხლები ის სავალდებულო და აუცილებელი დოკუმენტაცია და მონაცემები, რომლითაც დგინდება კონკრეტული ტრანსპორტირების ღირებულება და რომელთა გარეშე, შეუძლებელია DHL-ის მიერ გზავნილის გადაზიდვა. ასეთ დოკუმენტაციას და მონაცემებს განეკუთვნება:

12.1. კომერციული ინვოისი და საჭიროების შემთხვევაში, გზავნილის გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია;

12.2. გადაზიდვის საწყისი და საბოლოო დანიშნულების პუნქტი, მიმღებისა და გამგზავნის სრული საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს ზუსტ მისამართს, საფოსტო ინდექსს, საკონტაქტო პირს და ტელეფონის ნომრებს.

12.3. გზავნილის ზუსტი და დეტალური აღწერილობა (წონა ბრუტო და ნეტო, მახასიათებლები, გაბარიტები; ამასთან DHL ახორციელებს ამ ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველთან შეთანხმებით, აზუსტებს მათ.

13. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გზავნილის ჯეროვანი მზაობა, რაც გულისხმობს სათანადო შეფუთვას და მარკირებას, ან შესაბამის შემთხვევაში, დაუკვეთოს შეფუთვა DHL-ს, ვინაიდან DHL პასუხს არ აგებს შემსყიდველის მიერ ტვირთის არასათანადოდ შეფუთვით გამოწვეულ დაზიანებაზე.

14. შემსყიდველი ვალდებულია გზავნილი მზად ჰქონდეს DHL-ის ან მისი სუბკონტრაქტორის სატრანსპორტო საშუალების გზავნილის წამოსაღებად ადგილზე მისვლის მომენტისათვის.

15. შემსყიდველი DHL-ის მოთხოვნის საფუძველზე ვალდებულია გასცეს მინდობილობა, თუ ეს აუცილებელია და უკავშირდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

16. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი არ ავალებს DHL-ს გზავნილის საბაჟო გაფორმების წარმოებას, შემსყიდველი ვალდებულია დროულად და ჯეროვნად უზრუნველყოს გზავნილის საბაჟო გაფორმება, დაუყოვნებლივ შეატყობინოს DHL-ს საბაჟო გაფორმების დასრულების შესახებ და გადასცეს შესაბამისი დოკუმენტაცია.

17. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გზავნილის თანმხლები ყველა სახის დოკუმენტაციის წინასწარი შემოწმება/სისწორე და განსაზღვროს აუცილებელი ეგზემპლარების რაოდენობა.

18. DHL ვალდებულია შემსყიდველის მიერ მიწოდებული კომერციული დოკუმენტაციის (კომერციული ინვოისი, სერტიფიკატები და სხვა თანმხლები დოკუმენტები) შესაბამისად უზრუნველყოს სწორი სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება.

19. DHL ვალდებულია, უზრუნველყოს მიღებული გზავნილის/გზავნილების ტრანსპორტირება შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე. DHL-მა დანიშნულების ადგილზე მიმღებს ტვირთი უნდა გადასცეს სრულად და დაუზიანებლად.

20. DHL ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველს მიაწოდოს ინფორმაცია ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულების შესახებ, ასევე, ინფორმაცია დროის გარკვეული მომენტებისათვის ტვირთის ადგილსამყოფელის შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რამაც, შესაძლოა, შეაფერხოს ან დროებით შეაჩეროს ტვირთის ტრანსპორტირების განხორციელება.

21. იმ შემთხვევებში, თუ შეუძლებელი იქნება შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ დანიშნულების ადგილზე მომსახურების განხორციელება, გზავნილის მიწოდება განხორციელდება DHL-ის შესაბამის სადგურში მოკითხვამდე რეჟიმით. ასეთი შემთხვევის არსებობისას, DHL დამკვეთს გადაზიდვის დაწყებამდე აცნობებს, რომ გზავნილის მიწოდება მოხდება მოკითხვამდე რეჟიმში და იმ სადგურის მისამართს, სადაც მოხდება გზავნილის მოკითხვამდე რეჟიმში განთავსება.

22. რიგ რეგიონებში/მისამართებზე, სადაც არ ვრცელდება DHL-ის სტანდარტული მომსახურების არეალი, შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს გზავნილის ჩაბარება დამატებით საფასურის გადახდის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში, DHL აცნობებს შემსყიდველს, როგორც ასეთი შესაძლებლობის არსებობაზე, ასევე შესაბამისი ჩაბარების ტარიფს.

23. იმ შემთხვევაში, თუ შესმყიდველის მიერ მოწოდებული ტვირთის თანმხლებ დოკუმენტაციაში, მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ტვირთთან შეუსაბამო აღმოჩნდება, რის გამოც, მისი გადაზიდვისას, შენახვისას ან/და დამუშავებისას, ფაქტობრივად, წარმოიშვება დამატებითი დანახარჯები, შემსყიდველი ვალდებულია DHL-ს სრულად და ჯეროვნად აუნაზღაუროს ამით მიყენებული ყველა შესაძლო ზიანი, დამატებითი ხარჯი, თუ ჯარიმა, როგორიც არის ტვირთის შესაბამის ტერმინალზე იძულებითი შენახვა, ტვირთის შესაბამის ტემპერატურულ რეჟიმში იძულებითი შენახვა, საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანიზაციების მიერ დაკისრებული სანქციები ან/და შესაბამის შემთხვევაში, ტვირთის განადგურებისა და სხვა მსგავსი ხარჯები.

24. იმ შემთხვევაში, თუ მიმღები უარს განაცხადებს გზავნილის მიღებაზე ან მომსახურების საფასურის გადახდაზე (თუ საფასურის გადახდა მიმღების ვალდებულებაა), მაშინ, DHL უზრუნველყოფს გამგზავნისათვის ტვირთის დაბრუნებას, თუ ასეთი ოპერაცია დასაშვებია მიმღებ ქვეყანაში არსებული

საბაჟო რეგულაციების მიხედვით. და საფასურს აანაზღაურებს შემსყიდველი. თუ გამგზავნი უარს განაცხადებს აღნიშნული ხარჯის დაფარვაზე, მაშინ DHL, საკუთარი ხარჯების დაფარვის მიზნით, უფლებამოსილია მოახდინოს ასეთი გზავნილის რეალიზაცია, მიმღები და გამგზავნი მხარეების მიმართ ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. DHL ამონაგები თანხიდან საკუთარი ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილ ფულად სახსრებს დაუბრუნებს შემსყიდველს.

25. ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ შემოიფარგლება მე-5 პუნქტში მითითებული კორესპონდენციის/გზავნილების საფოსტო-საკურიერო მომსახურების მარეგულირებელი კონვენციებითა და წესებით.

შპს „ჯორჯიან ექსპრესი"

აღმასრულებელი დირექტორი
პაატა სარიშვილი

(ხელმოწერა/ბეჭედი)

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

დირექტორი
ირაკლი გულედანი

(ხელმოწერა/ბეჭედი)

დანართი 2

ექსპრეს გზავნილების ტარიფი				ექსპორტი		
დოკუმენტები 0,3 კგ.	**ზონა 1**	**ზონა 2**	**ზონა 3**	**ზონა 4**	**ზონა 5**	**ზონა 6**
0.30 კგ	44.00	52.00	64.00	61.00	68.00	97.00

დოკუმენტები 2 კილოგრამამდე						
კგ	**ზონა 1**	**ზონა 2**	**ზონა 3**	**ზონა 4**	**ზონა 5**	**ზონა 6**
0.5	47.00	57.00	70.00	66.00	75.00	100.00
1.0	55.00	69.00	84.00	80.00	89.00	120.00
1.5	60.00	80.00	95.00	92.00	101.00	139.00
2.0	65.00	91.00	106.00	104.00	113.00	158.00

ამანათები 0.5 კილოგრამიდან და დოკუმენტები 2.5 კილოგრამიდან						
კგ	**ზონა 1**	**ზონა 2**	**ზონა 3**	**ზონა 4**	**ზონა 5**	**ზონა 6**
0.5	50.00	61.00	74.00	69.00	80.00	108.00
1.0	59.00	75.00	92.00	87.00	98.00	130.00
1.5	65.00	88.00	105.00	101.00	112.00	151.00
2.0	71.00	101.00	118.00	115.00	126.00	172.00
2.5	77.00	114.00	131.00	129.00	140.00	193.00
3.0	81.00	123.00	141.00	140.00	151.00	206.00
3.5	85.00	132.00	151.00	151.00	162.00	219.00
4.0	89.00	141.00	161.00	162.00	173.00	232.00
4.5	93.00	150.00	171.00	173.00	184.00	245.00
5.0	97.00	159.00	181.00	184.00	195.00	258.00
5.5	100.00	167.00	189.00	192.00	203.00	268.00
6.0	103.00	175.00	197.00	200.00	211.00	278.00
6.5	106.00	183.00	205.00	208.00	219.00	288.00
7.0	109.00	191.00	213.00	216.00	227.00	298.00
7.5	112.00	199.00	221.00	224.00	235.00	308.00
8.0	115.00	207.00	229.00	232.00	243.00	318.00
8.5	118.00	215.00	237.00	240.00	251.00	328.00
9.0	121.00	223.00	245.00	248.00	259.00	338.00
9.5	124.00	231.00	253.00	256.00	267.00	348.00
10.0	127.00	239.00	261.00	264.00	275.00	358.00
11.0	133.00	249.00	273.00	276.00	287.00	378.00
12.0	139.00	259.00	285.00	288.00	299.00	398.00
13.0	145.00	269.00	297.00	300.00	311.00	418.00
14.0	151.00	279.00	309.00	312.00	323.00	438.00
15.0	157.00	289.00	321.00	324.00	335.00	458.00
16.0	163.00	299.00	333.00	336.00	347.00	478.00
17.0	169.00	309.00	345.00	348.00	359.00	498.00
18.0	175.00	319.00	357.00	360.00	371.00	518.00
19.0	181.00	329.00	369.00	372.00	383.00	538.00
20.0	187.00	339.00	381.00	384.00	395.00	558.00
21.0	193.00	347.00	391.00	394.00	405.00	576.00
22.0	199.00	355.00	401.00	404.00	415.00	594.00

23.0	205.00	363.00	411.00	414.00	425.00	612.00
24.0	211.00	371.00	421.00	424.00	435.00	630.00
25.0	217.00	379.00	431.00	434.00	445.00	648.00
26.0	223.00	387.00	441.00	444.00	455.00	666.00
27.0	229.00	395.00	451.00	454.00	465.00	684.00
28.0	235.00	403.00	461.00	464.00	475.00	702.00
29.0	241.00	411.00	471.00	474.00	485.00	720.00
30.0	247.00	419.00	481.00	484.00	495.00	738.00
35.0	267.00	459.00	521.00	534.00	545.00	818.00
40.0	287.00	499.00	561.00	584.00	595.00	898.00
45.0	307.00	539.00	601.00	634.00	645.00	978.00
50.0	327.00	579.00	641.00	684.00	695.00	1058.00
55.0	347.00	619.00	681.00	734.00	745.00	1138.00
60.0	367.00	659.00	721.00	784.00	795.00	1218.00
65.0	387.00	699.00	761.00	834.00	845.00	1298.00
70.0	407.00	739.00	801.00	884.00	895.00	1378.00
80.0	447.00	819.00	881.00	964.00	975.00	1538.00
90.0	487.00	899.00	961.00	1044.00	1055.00	1698.00
100.0	527.00	979.00	1041.00	1124.00	1135.00	1858.00
200.0	927.00	1779.00	1841.00	1924.00	1935.00	3458.00
300.0	1327.00	2579.00	2641.00	2724.00	2735.00	5058.00
ყოველ დამატებულ 0,5 კგ-ზე	**ზონა 1**	**ზონა 2**	**ზონა 3**	**ზონა 4**	**ზონა 5**	**ზონა 6**
10-20	3.00	5.00	6.00	6.00	6.00	10.00
20-30	3.00	4.00	5.00	5.00	5.00	9.00
30-70	2.00	4.00	4.00	5.00	5.00	8.00
70-300	2.00	4.00	4.00	4.00	4.00	8.00
300-99999	2.00	4.00	4.00	4.00	4.00	8.00

ტარიფი მოცემულია აშშ დოლარში და ემატება საწვავის დანამატი 8.25%. ტარიფი დაანგარიშდება მომსახურების გაწევის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენელი გაცვლითი კურსის მიხედვით.

დანართი 2

ექსპრეს გზავნილების ტარიფი						
დოკუმენტები 2 კილოგრამამდე						
კგ	**ზონა 1**	**ზონა 2**	**ზონა 3**	**ზონა 4**	**ზონა 5**	**ზონა 6**
0.5	65.00	89.00	101.00	97.00	104.00	136.00
1.0	70.00	99.00	113.00	109.00	116.00	153.00
1.5	73.00	109.00	122.00	118.00	125.00	165.00
2.0	76.00	119.00	131.00	127.00	134.00	177.00

ამანათები 0.5 კილოგრამიდან და დოკუმენტები 2,5 კილოგრამიდან						
კგ	**ზონა 1**	**ზონა 2**	**ზონა 3**	**ზონა 4**	**ზონა 5**	**ზონა 6**
0.5	68.00	94.00	107.00	102.00	110.00	143.00
1.0	74.00	106.00	121.00	116.00	124.00	161.00
1.5	80.00	118.00	132.00	127.00	135.00	179.00
2.0	86.00	130.00	143.00	138.00	146.00	197.00
2.5	90.00	142.00	154.00	149.00	157.00	215.00
3.0	94.00	150.00	164.00	159.00	168.00	230.00
3.5	98.00	158.00	174.00	169.00	179.00	245.00
4.0	102.00	166.00	184.00	179.00	190.00	260.00
4.5	106.00	174.00	194.00	189.00	201.00	275.00
5.0	110.00	182.00	204.00	199.00	212.00	290.00
5.5	114.00	190.00	214.00	209.00	221.00	302.00
6.0	118.00	198.00	224.00	219.00	230.00	314.00
6.5	122.00	206.00	234.00	229.00	239.00	326.00
7.0	126.00	214.00	244.00	239.00	248.00	338.00
7.5	130.00	222.00	254.00	249.00	257.00	350.00
8.0	134.00	230.00	264.00	259.00	266.00	362.00
8.5	138.00	238.00	274.00	269.00	275.00	374.00
9.0	142.00	246.00	284.00	279.00	284.00	386.00
9.5	146.00	254.00	294.00	289.00	293.00	398.00
10.0	150.00	262.00	304.00	299.00	302.00	410.00
11.0	156.00	274.00	318.00	313.00	318.00	430.00
12.0	162.00	286.00	332.00	327.00	334.00	450.00
13.0	168.00	298.00	346.00	341.00	350.00	470.00
14.0	174.00	310.00	360.00	355.00	366.00	490.00
15.0	180.00	322.00	374.00	369.00	382.00	510.00
16.0	186.00	334.00	388.00	383.00	398.00	530.00
17.0	192.00	346.00	402.00	397.00	414.00	550.00
18.0	198.00	358.00	416.00	411.00	430.00	570.00
19.0	204.00	370.00	430.00	425.00	446.00	590.00
20.0	210.00	382.00	444.00	439.00	462.00	610.00
21.0	216.00	392.00	456.00	451.00	474.00	630.00
22.0	222.00	402.00	468.00	463.00	486.00	650.00
23.0	228.00	412.00	480.00	475.00	498.00	670.00
24.0	234.00	422.00	492.00	487.00	510.00	690.00
25.0	240.00	432.00	504.00	499.00	522.00	710.00
26.0	246.00	442.00	516.00	511.00	534.00	730.00
27.0	252.00	452.00	528.00	523.00	546.00	750.00
28.0	258.00	462.00	540.00	535.00	558.00	770.00
29.0	264.00	472.00	552.00	547.00	570.00	790.00
30.0	270.00	482.00	564.00	559.00	582.00	810.00

35.0	290.00	532.00	614.00	609.00	632.00	910.00
40.0	310.00	582.00	664.00	659.00	682.00	1010.00
45.0	330.00	632.00	714.00	709.00	732.00	1110.00
50.0	350.00	682.00	764.00	759.00	782.00	1210.00
55.0	370.00	732.00	814.00	809.00	832.00	1310.00
60.0	390.00	782.00	864.00	859.00	882.00	1410.00
65.0	410.00	832.00	914.00	909.00	932.00	1510.00
70.0	430.00	882.00	964.00	959.00	982.00	1610.00
80.0	470.00	962.00	1044.00	1039.00	1062.00	1790.00
90.0	510.00	1042.00	1124.00	1119.00	1142.00	1970.00
100.0	550.00	1122.00	1204.00	1199.00	1222.00	2150.00
200.0	950.00	1922.00	2004.00	1999.00	2022.00	3950.00
300.0	1350.00	2722.00	2804.00	2799.00	2822.00	5750.00
ყოველდამატებულ 0,5 კგ-ზე	**ზონა 1**	**ზონა 2**	**ზონა 3**	**ზონა 4**	**ზონა 5**	**ზონა 6**
10-20	3.00	6.00	7.00	7.00	8.00	10.00
20-30	3.00	5.00	6.00	6.00	6.00	10.00
30-70	2.00	5.00	5.00	5.00	5.00	10.00
70-300	2.00	4.00	4.00	4.00	4.00	9.00
300-99999	2.00	4.00	4.00	4.00	4.00	9.00

ტარიფი მოცემულია აშშ დოლარში და ემატება საწვავის დანამატი 8.25%. ტარიფი დაანგარიშდება მომსახურების გაწევის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენელი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ქვეყნები	ზონა	ქვეყნები	ზონა	ქვეყნები	ზონა	ქვეყნები	ზონა
Afghanistan	6	Dominica	6	Lebanon	6	Saint Helena	6
Albania	3	Dominican Republic	6	Lesotho	6	Samoa	6
Algeria	6	East Timor	6	Liberia	6	San Marino	2
American Samoa	6	Ecuador	6	Libya	6	Sao Tome and Principe	6
Andorra	3	Egypt	6	Lichtenstein	2	Saudi Arabia	6
Angola	6	El Salvador	6	Lithuania	2	Senegal	6
Anguilla	6	Eritrea	6	Luxembourg	3	Serbia, Republic Of	3
Antigua	6	Estonia	2	Macau	5	Seychelles	6
Argentina	6	Ethiopia	6	Macedonia, Republic Of	3	Sierra Leone	6
Armenia	1	Falkland Islands	6	Madagascar	6	Singapore	5
Aruba	6	Faroe Islands	6	Malawi	6	Slovakia	3
Australia	6	Fiji	6	Malaysia	5	Slovenia	3
Austria	2	Finland	2	Maldives	6	Solomon Islands	6
Azerbaijan	1	France	2	Mali	6	Somalia	6
Bahamas	6	Gabon	6	Malta	3	Somaliland, Rep Of (North Somalia)	6
Bahrain	6	Gambia	6	Marshall Islands	6	South Africa	6
Bangladesh	5	Georgia		Martinique	6	South Sudan	6
Barbados	6	Germany	2	Mauritania	6	Spain	3
Belarus	2	Ghana	6	Mauritius	6	Sri Lanka	5
Belgium	2	Gibraltar	3	Mayotte	6	St. Barthelemy	6
Belize	6	Greece	2	Mexico	6	St. Eustatius	6
Benin	6	Greenland	6	Micronesia, Federated States Of	6	St. Kitts	6
Bermuda	6	Grenada	6	Moldova, Republic Of	2	St. Lucia	6
Bhutan	5	Guadeloupe	6	Monaco	2	St. Maarten	6
Bolivia	6	Guam	6	Mongolia	5	St. Vincent	6
Bonaire	6	Guatemala	6	Montenegro, Republic Of	3	Sudan	6
Bosnia and Herzegovina	3	Guernsey	3	Montserrat	6	Suriname	6
Botswana	6	Guinea Republic	6	Morocco	6	Swaziland	6
Brazil	6	Guinea-Bissau	6	Mozambique	6	Sweden	3
Brunei	5	Guinea-Equatorial	6	Myanmar	5	Switzerland	2
Bulgaria	2	Guyana (British)	6	Namibia	6	Syria	6
Burkina Faso	6	Guyana, French	6	Nauru, Republic Of	6	Tahiti	6
Burundi	6	Haiti	6	Nepal	5	Taiwan	5
Cambodia	5	Honduras	6	Netherlands, The	2	Tajikistan	3
Cameroon	6	Hong Kong	5	Nevis	6	Tanzania	6
Canada	4	Hungary	2	New Caledonia	6	Thailand	5
Canary Islands, The	3	Iceland	6	New Zealand	6	Togo	6
Cape Verde	6	India	5	Nicaragua	6	Tonga	6
Cayman Islands	6	Indonesia	5	Niger	6	Trinidad and Tobago	6
Central African Republic	6	Iran (Islamic Republic Of)	5	Nigeria	6	Tunisia	6
Chad	6	Iraq	6	Niue	6	Turkey	2
Chile	6	Ireland, Republic Of	3	Norway	3	Turks and Caicos Islands	6
China, People's Republic	5	Israel	3	Oman	6	Tuvalu	6
Colombia	6	Italy	2	Pakistan	5	Uganda	6
Commonwealth No. Mariana Islands	6	Jamaica	6	Palau	6	Ukraine	2
Comoros	6	Japan	5	Panama	6	United Arab Emirates	3
Congo	6	Jersey	3	Papua New Guinea	6	United Kingdom	2

Congo, The Democratic Republic Of	**6**	Jordan	**6**	Paraguay	**6**	United States Of America	**4**
Cook Islands	**6**	Kazakhstan	**2**	Peru	**6**	Uruguay	**6**
Costa Rica	**6**	Kenya	**6**	Philippines, The	**5**	Uzbekistan	**3**
Cote D'Ivoire	**6**	Kiribati	**6**	Poland	**2**	Vanuatu	**6**
Croatia	**3**	Korea, Republic Of (South K.)	**5**	Portugal	**3**	Venezuela	**6**
Cuba	**6**	Korea, The D.P.R. Of (North K.)	**5**	Puerto Rico	**6**	Vietnam	**5**
Curacao	**6**	Kosovo	**3**	Qatar	**6**	Virgin Islands (British)	**6**
Cyprus	**3**	Kuwait	**6**	Reunion, Island Of	**6**	Virgin Islands (Us)	**6**
Czech Republic, The	**2**	Kyrgyzstan	**3**	Romania	**3**	Yemen, Republic Of	**6**
Denmark	**3**	Lao People's Democratic Republic	**5**	Russian Federation, The	**1/2**	Zambia	**6**
Djibouti	**6**	Latvia	**2**	Rwanda	**6**	Zimbabwe	**6**

დანართი №3

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შეტყობინებების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიღების პირობები და წესები

1. მხარეები გამოთქვამენ ნებას და თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება № 205162802-სთან დაკავშირებული ყველა სახის შეტყობინება მიიღონ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიღებულ შეტყობინებას გააჩნია იგივე იურიდიული ძალა რაც ოფიციალურ შეტყობინებას ან/და დოკუმენტს.
3. მხარეები გამოყოფენ და ნიშნავენ საკუთარ ორგანიზაციებში ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შემდეგ საკონტაქტო პირებსა და ელექტრონული ფოსტის მისამართებს.

შპს „ჯორჯიან ექსპრესი"

საკონტაქტო პირი: ლევან ყანჩაველი
ელ. ფოსტა: CONTRACTS@DHL.GE

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

საკონტაქტო პირი: ეთერ გვრიტიშვილი
ელ. ფოსტა: eter.gvritishvili@lma.gov.ge
ელ. ფოსტა: maia.macharadze@lma.gov.ge

ინვოისი # EXPTBS75100

2016-04-28

მომწოდებელი	მომხმარებელი
ჯორჯიან ექსპრესი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია
ს/კ 201954965	ს/კ 205162802
აკაკი წერეთელის გამზ. 105 / ტელ.: 2696060	
საქართველოს ბანკი - BAGAGE22	
GE70BG0000000391050200	

სერვისი	რაოდენობა	ფასი	დღგ	ჯამი - დოლარი	ჯამი ლარში
ექსპორტი	1	56.29	0.00	56.29	125.61

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი # 1

მთლიანი ფასი დოლარი: 56.29

მთლიანი ფასი ლარში: 125.61

ასოცდახუთი ლარი და 61 თეთრი

გთხოვთ ანგარიშსწორება მოახდინოთ 2016-05-10 მდე

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ინვოისის ნომერი

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!

დანართი #1

2016-04-28

თარიღი	სერვისი	გამგზავნი	მიმღები	ფასი	დღგ	ფასი - დოლარი	ფასი ლარში
2016-04-28	ექსპორტი	საქართველო	პოლონეთი	56.29	0.00	56.29	125.61
შინაარსი	4514345010						